

კოვიდ 19-ის ზეგავლენა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების
კრიზისულ კომუნიკაციაზე.

მარიამ მხეიძე, თამარ სართანია, ეკატერინე კაჭკაჭაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, საზოგადოებრივი ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

საზოგადოებრივი ურთიერთობები, სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარია მჭედლიძე,
მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

მარიამ მხეიძე

თამარ სართანია

ეკატერინე კაჭკაჭაშვილი

03/07/2020

აბსტრაქტი

ნაშრომი განიხილავს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა კრიზისული კომუნიკაციის კვლევას კორონა ვირუსის პერიოდში. კვლევის მიზანია, პანდემიის მიმდინარეობისას, კომუნიკაციის ემპირიულ გამოვლინებებზე დაყრდნობით დადგინდეს, რამდენად მზად აღმოჩნდა ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა შექმნილი კრიზისული ვითარების სამართავად.

პრობლემის მასშტაბიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკითხის გარშემო ინტერესი მზარდია, თუმცა ჯერჯერობით შესწავლილი არ არის, რაც განაპირობებს მოცემული კვლევის აქტუალობას.

ნაშრომი პასუხობს შემდეგ ძირითად საკვლევ კითხვებს: 1. რა გამოწვევების წინაშე დააყენა კოვიდ 19-მა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები და რა ნაბიჯები გადადგეს პრობლემის ეფექტურად მოსაგვარებლად? 2. აქვთ თუ არა უმაღლეს სასწავლებლებს წინასწარ შემუშავებული კრიზისული კომუნიკაციის გეგმა და რა ზეგავლენა მოახდინა კოვიდ 19-ის გამოჩენამ მათ კრიზისულ კომუნიკაციაზე? 3. რამდენად ეფექტური კომუნიკაცია აწარმოეს უნივერსიტეტებმა პანდემიის მიერ გამოწვეული კრიზისის პერიოდში?

კვლევისათვის შეირჩა შერეული-რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. სტუდენტთა დამოკიდებულება უნივერსიტეტის კრიზისული კომუნიკაციისადმი, დადგინდა რაოდენობრივი მეთოდით, ხოლო თვისებრივი კვლევის მეთოდი (დაკვირვება და სიღრმისეული ინტერვიუ) გამოყენებულ იქნა კოვიდ 19-ის პერიოდში უნივერსიტეტთა ანტიკრიზისული კომუნიკაციის

შესასწავლად. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ შერჩეული ხუთი უნივერსიტეტის(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი) სტუდენტები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები.

ნაშრომის პირველი ნაწილი ეთმობა თეორიული საკითხების მიმოხილვასა და ლიტერატურის ანალიზს. მეორე ნაწილში განხილულია კვლევის მეთოდოლოგია,რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები და მათი შედარებითი ანალიზი, ბოლო ნაწილი კი დასკვნასა და რეკომენდაციებს ეთმობა.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი საკითხები, რაც სამომავლოდ გავლენას იქონიებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კრიზისული კომუნიკაციაზე. კრიზისის პერიოდში უმაღლეს სასწავლებელთა საერთო გამოწვევად რჩება მოქნილი გეგმის შემუშავებითა და ყველა შესაძლო რესურსის მობილიზების გზით, ხარისხიანი, უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა.

კვლევის ანალიზისას გამოიკვეთა პრაქტიკული რეკომენდაციები ცალკეული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის,რაც მათ დაეხმარება კრიზისული კომუნიკაციის გეგმის შემუშავებასა და კრიზისების მართვაში.

საკვანძო სიტყვები: კრიზისული კომუნიკაცია, კოვიდ-19, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები.

Abstract

The paper discusses the research of crisis communication in Georgian higher education institutions during Corona Virus period. The aim of the research is to determine the readiness of the Georgian higher education system in term of how it managed the crisis situation based on the empirical manifestations of communication during the pandemic.

Depending on the scale and importance of the problem, the interest of the issue is growing, although it has not yet been thoroughly studied, which contributes to the relevance of this study.

The paper answers the following research questions: 1. What challenges did the Covid-19 pose to higher education institutions and what steps should be taken to solve the problem effectively? 2. Do higher education institutions have a pre-designed crisis communication plan and what impact did the Covid-19 have on their crisis communication? 3. How effective communication had the universities during the pandemic crisis.

Mixed, quantitative and qualitative research methods were selected for the study. Students' attitude toward university crisis communication was determined by quantitative methods, qualitative method (observation and depth interview) were used to study the antirecessionary communication of universities during the Covid-19 period. The research target group includes students and public relations specialists from five selected universities (Tbilisi State University, Ilia State University, Free University, University of Georgia, Samtskhe-Javakheti State University)

Theoretical guidelines and an analysis of the literature is discussed in the first part of the paper. The research methodology, the results of quantitative and qualitative research and their comparative analysis were discussed in the second part of the paper. The last part of the paper is about conclusions and recommendations. The main issues that may effect the future of crisis communication in higher education institutions are highlighted as a result of research.

Providing quality, constant education through the mobilization of all possible resources and developing a flexible plan, are common challenges for higher education institutions during the crisis.

The analysis of the research revealed practical recommendations for certain higher education institutions, which will help them to develop a crisis communication plan and thus to manage crises.

Keywords: Crisis communication, Covid-19, higher education institutions